სსიპ –

ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტისჰუმანიტარულმეცნიერებათაფაკულტეტზედასავლეთევროპულიენებისადალიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ინგლისური ფილოლოგიის კათედრა)ასისტენტ პროფესორებისსამსახურშიმისაღებადრექტორის 2025 წლის 6 აგვისტოს N171/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის N52/2025დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **"8" ოქტომბერი 2025 წ.**

16.00 საათი, თსუ Vკორპუსი, აუდიტორია №231

სხდომას ესწრებოდა კომისიის 3 წევრიდან 3 წევრი:

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ინგლისური ფილოლოგიის კათედრა) ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიისთავმჯდომარის, რუსუდან დოლიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულმეცნიერებათაფაკულტეტზედასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ინგლისური ფილოლოგიის კათედრა)ასისტენტ პროფესორის (კატეგორია"ა") 2 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 2კანდიდატმა- **თამარ გელაშვილი** (ინგლისური ლიტერატურა), **მარინე მახათაძე** (ინგლისური ენა)

თამარ გელაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 4 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2).

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას აღნიშნა, თ. გელაშვილის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობამოიცავს 13წელს. ბოლო 4 წლის განმავლობაში იგი ასევე კითხულობდა ლექციებს ევროპის უნივერსიტეტებში პოლონეთი, სერბეთი, უნგრეთი). თამარ გელაშვილის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი ხუთივე სილაბუსისრულად შეესაბამება ინგლისური ფილოლოგიის (ინგლისური ლიტერატურა) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას.

თამარ გელაშვილის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის შეფასების საკონკურსო კომისიამ გაითვალისწინა, რომ კონკურსანტი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული ფონდის 2 გრანტში, ხოლო 2025 წელს თავად მოიპოვა რუსთაველის ფონდის გრანტი ფუნდამენტურ მეცნიერებებში, რომლის ფარგლებშიც ასევე განსაზღვრული აქვს თანამედროვე ირლანდიელი დრამატურგების თარგმანი.

ბოლო 4 წელიწადში კონკურსანტი არის 7. სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, 6 სტატია, 1 თავი მონოგრაფიაში. თ.გელაშვილი ასევე ეწევა მთარგნელობით საქმიანობას,

კერძოდ, მან თარგმნა ჯეიმ ჯოისის „ღამისთევა ფინეგანისთვის“ (წიგნი 1, რომელიც 2020 წელს გამოიცა

თ. გელაშვილი აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ბოლო 4 წლის განმავლობაში მან მონაწილეობა მიიღო 8 კონფერენციაში (6 ადგილობრივი და 2 საერთაშორისო).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (3 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი თამარ გელაშვილის კანდიდატურას.

კონკურსის ორივე ეტაპის შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2). კონკურსანტს გააჩნია ღრმა საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის. მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები და სამეცნიერო საქმიანობა, სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. თ. გელაშვილი არის პროფესიონალი კადრი, რომლის საქმიანობა საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითრებისა.

დაადგინეს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის (ინგლისური ლიტერატურა) 1 ვაკანსიაზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **თამარ გელაშვილი.**

მარინე მახათაძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში

(პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 4 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

მარინე მახათაძის პედაგოგიური გამოცდილება მოიცავს 7 წელს, აქედან 5 წელი არის მოწვეული ლექტორი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე.იგი აქტიურადმონაწილეობს კათედრის სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაში. კერძოდ, მის მიერ შედგელი და წარმოდგენილი 3 სილაბუსი სრულად შეესაბამება ინგლისური ფილოლოგიის (ინგლისური ენა) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას. იგი ასწავლის როგორც ბაკალვრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებს.

მ. მახათაძის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის შეფასების საკონკურსო კომისიამ გაითვალისწინა, რომ მას გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნოერო სტატია, რომლებიც ეძღვნება კორპუს ლინგვისტიკასა და ლექსკოგრაფიას. აქვს ციტირების h-ინდექსი - 1, ხოლო 1 საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიას ციტირება- 2. უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ შექმნილი სასწავლო კორპუსი, რომელიც ატვირთულია ლანკასტერის უნივერისტეტის კორპუსთა ბაზაში (8 000000 ერთეული).

მ მახათაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული 9 კონფერენციაში (აქედან 7 ადგილობრივი, 2 საერთაშორისო), რომელთა თემატიკა მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს- ლექსიკოგრაფიასა და კორპუს ლინგვისტიკას მოიცავს..

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (3 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი მარინე მახათაძის კანდიდატურას.

კონკურსის ორივე ეტაპის შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2). კონკურსანტს გააჩნია ღრმა საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება

საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის. მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები და სამეცნიერო საქმიანობა, სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.მ.მახათაძე არის ახალგაზრდა პროფესიონალი კადრი, რომლის საქმიანობა საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითრებისა.

დაადგინეს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ინგლისური ფილოლოგიია კათედრა) ასისტენტ პროფესორის (ინგლისური ენა) 1 ვაკანსიაზე (კატეგორია „ა") გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **მარინე მახათაძე.**

2. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად

კომისიის თავმჯდომარე:

მოადგილე:

კომისიის მდივანი:

თარიღი: 9.10.2025